ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის საინფორმაციო ბიულეტენი

2020 წლის თებერვალი-ივნისი / **გამოცემა I**

შშმ პირთა უფლებები ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში და მის მიღმა

© Ana Boko Lortkipanidze; Georgian Down Syndrome Association

ENNHRI European Network of National Human Rights Institutions

საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

UN for Persons with Disabilities in Georgia

UNDP

გამოცემა მომზადდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და მასში მოცემული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს

ძვირფასო მკითხველო,

დიდი სიამოვნებით წარმოგიდგენთ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის საინფორმაციო ბიულეტენის პირველ გამოცემას. საინფორმაციო ბიულეტენი მოიცავს ინფორმაციას შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის წევრებისა და სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციებისა და ქსელების აქტივობების შესახებ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპულმა ქსელმა, თავისი საქმიანობის ხელშესაწყობად ადამიანის უფლებათა სხვადასხვა სფეროში, სამუშაო ჯგუფები შექმნა. მათ შორისაა შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფი, რომელიც ქსელის 30-ზე მეტ წევრს აერთიანებს. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფი, გარდა იმისა, რომ არის სფეროს ექსპერტთა ერთობა, ამავე დროს, ქმნის შესანიშნავ პლატფორმას ცოდნის, გამოცდილებისა და იმ გამოწვევების გასაზიარებლად, რომელთაც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები შშმ პირთა უფლებებზე მუშაობისას აწყდებიან. ამჟამად შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ხელმძღვანელობს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაძლიერებისკენ მიმართული ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის კიდევ უფრო განსამტკიცებლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, როგორც შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, შეიმუშავა რამდენიმე იდეა, რომელსაც თქვენთან ერთად განვახორციელებთ უახლოეს მომავალში. თავდაპირველად, გვსურს შემოგთავაზოთ საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც, ჩვენი აზრით, მოგცემთ შესაძლებლობას გაეცნოთ ამ სფეროში არსებულ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას და სიახლეს, და ამასთანავე ყველა ჩვენგანს დაგვეხმარება იმის უკეთ დანახვაში, თუ სად ვართ და საით უნდა წავიდეთ.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ისეთი კრიზისის პერიოდში, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, ჩვენი ბიულეტენის პირველი გამოცემის ძირითადი თემაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები COVID-19-ის პირობებში - შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის წევრებისა და სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალური ქსელისა და ორგანიზაციის საქმიანობა.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. ჯგუფმა რამდენიმე ონლაინ შეხვედრა ჩაატარა თემაზე: COVID-19-ის გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე. შეხვედრებზე მოხდა ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება და დაიგეგმა მომავალი საქმიანობა. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფმა ასევე გამართა შეხვედრა ევროკავშირის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მექანიზმთან, სადაც განხილულ იქნა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიმოხილვა ევროკავშირის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრებში ფართო ჩართულობამ და სხვადასხვა გამოცდილების გაზიარებამ დაადასტურა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ სფეროში, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და პარტნიორებს შორის, თანამშრომლობის გაგრძელება.

მინდა მადლობა გადავუხადო ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებს აქტიური წვლილისათვის. თქვენი მზაობისა და მონდომების გარეშე, ამ ბიულეტენის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა. ვიმედოვნებთ, რომ ეს ბიულეტენი თქვენთვის ინფორმაციული და სასარგებლო იქნება.

პატივისცემით,

ეკატერინე სხილაძე
საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

COVID-19-თან დაკავშირებული სიახლეები - ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის წევრებისა და დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მუშაობა COVID-19-ის პირობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით

ალბანეთი

ალბანეთის სახალხო ადვოკატმა, პანდემიის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად, არაერთ საქმეზე დაიწყო წარმოება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრებელი პირობების შესახებ საჩივრების მიღების შემდეგ, სახალხო ადვოკატმა პასუხისმგებელ უწყებებსა და მუნიციპალიტეტებს რეკომენდაციით მიმართა, რათა მიეღოთ ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარებისა და ეკონომიკური მხარდაჭერისთვის. ამასთან, სახალხო ადვოკატმა ბოშა და ეგვიპტელი



Monitoring visit by HRCA

თემებისათვის, მათ შორის, ამ თემების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრებისთვის, დამატებითი მხარდაჭერის აღმოჩენის აუცილებლობაზეც მიუთითა. სახალხო ადვოკატი, ინფორმაციაზე წვდომის გასაზრდელად, აქტიურად მოუწოდებდა ოფიციალური საჯარო კომუნიკაციების დროს ჟესტების ენის გამოყენებისკენაც. ვრცლად იხილეთ **აქ.**

აზერბაიჯანი

COVID-19-ის აფეთქების პირველივე დღეებიდან, აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა კომისრის დავალებით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფის წევრებმა მონიტორინგის ვიზიტები განახორციელეს და შეიმუშავეს საჭირო რეკომენდაციები. აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა კომისარმა ასევე გაავრცელა სპეციალური განცხადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ და მთავრობის შესაბამის ორგანოებსა და კერძო სექტორს მოუწოდა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაუდებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პანდემიის დროს შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, აზერბაიჯანის ადამიანის უფლებათა კომისარი საჩივრებს/განცხადებებს იღებს ფოსტით, ონლაინ, ელ.ფოსტით, ფაქსით, 24/7 ცხელი ხაზით, Facebook-ითა და Twitter-ით. ვრცლად იხილეთ **აქ.**

ბელგია

ბელგიის თანაბარი შესაძლებლობისა და რასიზმის საწინააღმდეგო ინტერფედერალურმა ცენტრმა გამოაქვეყნა **ანგარიში** COVID-19-ის გავლენის შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ ოჯახებზე. ცენტრმა გამოკითხა 865 ადამიანი, მათ შორის, 502 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და მათი 363 ოჯახის წევრი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა განაცხადეს, რომ მათ კიდევ უფრო მეტი პრობლემა ხვდებოდათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე უჭირდათ სამედიცინო მომსახურების მიღება; ადგილზე მოვლის სერვისი არ იყო თავისუფლად მისაწვდომი, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახის წევრებისთვის სირთულეებს

ქმნიდა. გამოკითხვის პასუხებისა და ინდივიდუალური საჩივრების საფუძველზე, თანაბარი შესაძლებლობისა და რასიზმის საწინააღმდეგო ინტერფედერალურმა ცენტრმა, ძირითადად სუპერმარკეტებზე, ინფორმაციაზე, ტრანსპორტზე, განათლებასა და ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით, ადგილობრივ ხელისუფლებას, სამინისტროებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა. აღსანიშნავია, რომ ბელგიის თანაბარი შესაძლებლობისა და რასიზმის საწინააღმდეგო ინტერფედერალური ცენტრი ასევე არის ფედერალური და რეგიონული სამთავრობო სამუშაო ჯგუფის, კერძოდ, მოწყვლადი ჯგუფების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრი. ჯგუფის ფარგლებში იგი ასრულებს შიდა დავალებებს COVID-19-ისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით. ვრცლად იხილეთ **აქ.**

ბულგარეთი

ბულგარეთის რესპუბლიკის ომბუდსმენმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის საბჭოსთან ერთად, ინტენსიურად იმუშავა COVID-19-ის აფეთქების დროს. ინსტიტუტმა რეკომენდაციით მიმართა სახელმწიფო უწყებებს და მოითხოვა შესაბამისი მექანიზმების უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სასკოლო განათლების მისაწვდომობის უზრუნველყოფის, ასევე, სოციალური მომსახურების დისტანციურად მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადასახადებისაგან გათავისუფლებლების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციის საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან. ომბუდსმენის აპარატმა, ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, ასევე აამოქმედა ცხელი ხაზები და გამოაქვეყნა ექსპერტების მობილური ტელეფონის ნომრები, რათა მოქალაქეებს მისცემოდათ შესაძლებლობა, უშუალოდ დაკავშირებოდნენ მათ. ვრცლად იხილეთ **აქ.**

COVID-19-თან ადაპტირება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად, ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა, მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების, კომუნიკაციის ახალი საშუალებების მოძიების, დამცავი საშუალებების დარიგების, კვლევების ჩატარების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების დაცვისა და პოპულარიზაციის გზით, მუშაობის მეთოდები ახალ რეალობას შეუსაბამეს.

ხორვატია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ომბუდსმენმა პანდემიის განმავლობაში არაერთი რეომენდაცია გამოაქვეყნა. პანდემიის პირველი ტალღის დროს, ომბუდსმენმა რიგ სახელმწიფო უწყებებს, ორგანიზაციებს, მომსახურების მიმწოდებლებსა და მუნიციპალიტეტებს მოუწოდა დაეცვათ უსაფრთხოების წესები და უზრუნველეყოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი

Monitoring Visit by the Office of Public Defender of Georgia

მომვლელების უსაფრთხოება და მათი წვდომა ინფორმაციაზე. ომბუდსმენმა ასევე მოითხოვა 2020 წლის მარტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისა და პროფესიული რეაბილიტაციის შესახებ კანონში დაჩქარებული პროცედურით განხორციელებული ცვლილებების კონსტიტუციურობის შეფასება. ცვლილებების მიხედვით, შესაძლებელი გახდა დამსაქმებლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კვოტით გათვალისწინებული დასაქმების პირობების დარღვევის შედეგად მიღებული თანხის გამოყენება არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების წახალისების პროგრამების დასაფინანსებლად, არამედ სხვა მიზნებით. ომბუდსმენმა ხელისუფლებას სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბენეფიციარებისათვის გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებული მკაცრი შეზღუდვების გადახედვის თხოვნითაც მიმართა. ვრცლად იხილეთ **აქ.**

კვიპროსი

ადამიანის უფლებების ადმინისტრირებისა და დაცვის კომისრის ოფისმა წამოიწყო ცნობიერების ამაღლების კამპანია COVID-19-ისა და ადამიანის უფლებების შესახებ. შეიქმნა **სპეციალური ვებგვერდი,** რომელზეც განთავსებულია შესაბამისი ბმულები ყველა საჭირო ინფორმაციის მისაღებად როგორც COVID-19-ის, ისე კომისრის საქმიანობასთან დაკავშირებით COVID-19-ის მიმართულებით და COVID-19-ის ადამიანის უფლებებზე გავლენის შესახებ. მარტში, კომისარმა, როგორც პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა, გამოაქვეყნა **კონკრეტული რეკომენდაციები** წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის პრინციპების შესაბამისად, რომელიც შეეხება თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ მოპყრობას COVID-19 პანდემიის პირობებში, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მიმართ მოპყრობას ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. აპრილში კი, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მექანიზმმა, კომისარმა **საკუთარი ინიციატივით გამოსცა ინტერვენცია,** COVID-19-თან დაკავშირებულ ინფორმაციაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომის შესახებ. ვრცლად იხილეთ **აქ.**

საქართველო

COVID-19-ის პანდემიის დაწყებისთანავე, საქართველოს სახალხო დამცველმა **ყურადღება გაამახვილა ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის.** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სახალხო დამცველმა ასევე **რეკომენდაციებით მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს,** მათ შორის, დისტანციური სწავლების, ინფორმაციაზე წვდომის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიზნობრივი სარეაბილიტაციო პროგრამების უწყვეტობის და სადღეღამისო დაწესებულებებში ვირუსის პრევენციული ღონისძიებების გატარების მნიშვნელობის შესახებ. სახალხო დამცველმა ასევე **მიმართა მთავრობას** და მოითხოვა სოციალური დაცვის სათანადო გარანტიების გათვალისწინება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამთავრობო ანტიკრიზისულ ეკონომიკურ გეგმაში. გარდა ამისა, სახალხო დამცველმა **გამართა ონლაინკონფერენცია** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიზნობრივი სარეაბილიტაციო პროგრამების უწყვეტობის უზრუნველყოფის შესახებ COVID-19 პანდემიის დროს. ვრცლად იხილეთ **აქ.**

ირლანდია

ირლანდიის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის კომისიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკონსულტაციო კომიტეტმა, 2020 წლის პირველ ნახევარში, სამი შეხვედრა გამართა თემაზე, - COVID-19-ის გავლენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე. საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარემ და კომისიის წევრმა, დოქტორმა ფრენკ კონატიმ, **წარმოადგინა ნაშრომი** COVID-19-ის გავლენის შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე. ნაშრომში ასახულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მიმართულებით არსებული პრობლემები უშუალოდ პანდემიის პერიოდში, ასევე, შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელვადიანი კრიზისი, შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანის მომტანი იყოს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საბოლოო ეროზია გამოიწვიოს. 2020 წლის ივლისში, კომისიამ გამოაქვეყნა

მოსაზრებები თემაზე: „სახელმწიფო სახელმ-ძღვანელო პრინციპები პანდემიის დროს გადაუდებელ დახმარებაზე წვდომის პრიორიტეტიზების შესახებ“. ვრცლად იხილეთ აქ.

COVID-19-ის შესახებ ინფორმაციის გავრცელება

COVID-19 პანდემიის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა მონაცემები შეაგროვეს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის ამსახველი არაერთი ანგარიში გამოაქვეყნეს. ანგარიშებში ყურადღება გამახვილებულია იმ დაბრკოლებებზე, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები პანდემიის პირობებში აწყდებიან, მიმოხილულია შშმ პირთა სამზრუნველო და სხვა დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები და შეფასებულია სახელმწიფოთა ქმედებების ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

შოტლანდია

შოტლანდიის ადამიანის უფლებათა კომისიას აქტიური კავშირი ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული იმ დაბრკოლებების აღმოფხვრის მიზნით, რომლებსაც ხსენებული პირები პანდემიის პირობებში აწყდებიან, მაგალითად, როგორიცაა მხარდაჭერის არარსებობა, დაწესებული შეზღუდვების გავლენა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ციფრული გარიყვა, სიღარიბისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეალური ჩართულობის პრობლემა. საგანგებო კანონმდებლობის კვალდაკვალ, ადამიანის უფლებათა კომისიამ მონაწილეობა მიიღო შოტლანდიის ფსიქიკური ჯანმრთელობის კომისიის მონიტორინგის ჯგუფში, რომელიც აკვირდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული უფლება-მოსილებების განხორციელების პროცესს. კომისიამ წვლილი შეიტანა შოტლანდიის მთავრობის მიერ სამედიცინო დარგის პროფესიონალებისთვის რჩევების შემუშავების პროცესში, რათა უზრუნველეყო ამ რჩევების სრული შესაბამისობა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან. ამჟამად კი, კომისია ამზადებს ინფორმაციას შოტლანდიის შშმ პირთა სახლებში წარმოქმნილი პრობლემების შესახებ. ვრცლად იხილეთ აქ.

სერბეთი

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში (2020 წლის 15 მარტი - 2020 წლის 6 მაისი) სერბეთის მოქალაქეთა დამცველმა გააქტიურა თავისი საქმიანობა ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის თვალსაზრისით. ამოქმედდა ხუთი ახალი სატელეფონო ხაზი, რომლითაც მოქალაქეებს შეეძლოთ დაკავშირებოდნენ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტს. მოქალაქეთა დამცველმა ასევე განახორციელა მონიტორინგის ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებებში. გარდა ამისა, მოქალაქეთა დამცველმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ყურადღება იყო გამახვილებული COVID-19-ის პანდემიის პირობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსისა და მოწყვლადობის საკითხზე და მათთვის კომენდანტის საათის მოქმედების დროს გადაადგილების ნებართვის გაცემის აუცილებლობაზე. მოქალაქეთა დამცველმა ასევე შეისწავლა სხვადასხვა ინდივიდუალური შემთხვევა, რომლებიც ეხებოდა ადგილზე დახმარების სერვისებს, რეზიდენტულ დაწესებულებებს, კოლექტიური განსახლების დაწესებულებებს და ა.შ. მონაცემთა გაანალიზების შემდეგ, სერბეთის ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტმა მოამზადა სპეციალური ანგარიში საგანგებო მდგომარეობის დროს მოქალაქეთა დამცველის საქმიანობის შესახებ, სადაც საგანგებოდ მიეთითა იმ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც მოქალაქეები აღმოჩნდნენ,

და კომპეტენტური ორგანოების მიერ საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ზომების მიღების აუცილებელობაზე. ვრცლად იხილეთ **აქ.**

უკრაინა

COVID-19-ის პანდემიის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო დაწესებულებების დახურვის საპასუხოდ, უკრაინის პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომისარმა, ინტელექტუალური და ფსიქიკური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის საკოორდინაციო საბჭოს ბაზაზე, სამუშაო ჯგუფი შექმნა. სამუშაო ჯგუფის მიზანია გააერთიანოს ხელისუფლების ძალისხმევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად. გარდა ამისა, კომისარმა პრემიერ-მინისტრისგან მოითხოვა ზომების მიღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომის უზრუნველსაყოფად სარეაბილიტაციო მომსახურებაზე, მათ შორის, კანონში ცვლილებების შეტანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოველდღიური სარეაბილიტაციო მომსახურებისთვის საკარანტინო შეზღუდვების მოხსნასთან დაკავშირებით. ვრცლად იხილეთ **აქ.**

რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქსელების აქტივობები COVID-19-ისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით

რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციები და ქსელები სწრაფად პასუხობდნენ COVID-19-ის გამოწვევას. 2020 წლის პირველ ნახევარში მოხდა სხვადასხვა დოკუმენტის მიღება და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება.

> *„ჩვენ ერთად უნდა ვიმოქმედოთ, რათა შევანელოთ ვირუსის გავრცელება და ვიზრუნოთ ერთმანეთზე. ახლა არის წინდახედულობის და არა პანიკის დრო. მეცნიერება და არა სტიგმა. ფაქტები და არა შიში“.*
>
> **ანტონიო გუტერესი**
> *გაეროს გენერალური მდივანი*

გაერო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის თავმჯდომარემ, კომიტეტისა და გენერალური მდივნის შეზღუდული შესაძლებლობისა და მისაწვდომობის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის სახელით, გააკეთა **ერთობლივი განცხადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და COVID-19-ის შესახებ,** სადაც სახელმწიფოებს მოუწოდა, მიიღონ ყველა სათანადო ზომა იმისათვის, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელი მიუწვდებოდეთ ჯანდაცვის იმავე ხარისხის და სტანდარტის სერვისებზე, რაც ხელმისაწვდომია სხვა პირთათვის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. **კომიტეტმა კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს მოუწოდა,** უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება COVID-19 პანდემიის დროს, გამოწვევებზე დაუყოვნებელი რეაგირებითა, და შემდგომ პერიოდშიც. კომიტეტს გააჩნია გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის, გაეროს განვითარების პროგრამის და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის ერთობლივი მზაობა ორი გლობალური სტრატეგიული რესურსის შესამუშავებლად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მიმართულებით: 1) პრაქტიკული სახელმძღვანელო დამოუკიდებელი მონიტორინგის ეროვნული მექანიზმების შესახებ და 2) დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმების ელექტრონული ბაზა. ერთობლივი პროექტი ეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მანდატს, რომელიც გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ **კონვენციის 33-ე (2) მუხლში** - „განხორციელება და მონიტორინგი ეროვნულ დონეზე“, ასევე კომიტეტის **რეკომენდაციებს** ამ მიმართულებით.

კომიტეტი ამჟამად ამზადებს **23-ე სესიას,** რომელიც 2020 წლის 17 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე ონლაინ პლატფორმით გაიმართება. კომიტეტი ასევე ამზადებს **მე-14 წინასასესიო სამუშაო ჯგუფის შეხვედრას,** რომელიც გაიმართება 2020 წლის 7 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე. 23-ე სესიის პლენალურ სხდომაზე კომიტეტი განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა პანდემიის დროს, ასევე დაიწყებს შრომისა და დასაქმების უფლების (მუხლი 27) შესახებ ზოგადი კომენტარის მოსამზადებელ პროცესს.

> *"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციითა და მდგრადი განვითარების დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით, სახელმწიფოები შეძლებენ დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და უზრუნველყონ მათი კეთილდღეობა. ამ პროცესში სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მრავალფეროვნება, განსაკუთრებული აქცენტირებით მათ სქესსა და ასაკზე და ასევე იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობაზე, რომლებიც განსაკუთრებული პრობლემების წინაშე დგანან".*
>
> **დანლამი ბაშარუ**
> *გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის თავმჯდომარე*
>
> **მარია სოლედად ცისტერნას რიესი**
> *გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობისა და მისაწვდომობის საკითხებში*

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა მოამზადა **[გზამკვლევი COVID-19-ისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ,]** სადაც განხილულია COVID-19-ის შედეგები და წარმოდგენილია საუკეთესო პრაქტიკების მაგალითები და ზომები, რომლებიც სახელმწიფოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა შეიძლება გაატარონ.

გაეროს გენერალურმა მდივანმა გამოაქვეყნა **[პოლიტიკის კვლევის დოკუმენტი:]** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გათვალისწინება COVID-19-ის საპასუხო ღონისძიებებში, რომელიც საგანგებოდ მიუთითებს COVID-19-ის გავლენაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და საუბრობს ანტიკრიზისულ გეგმებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების ინტეგრირებისთვის საჭირო ქმედებებსა და რეკომენდაციებზე. დოკუმენტი შეიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც ფოკუსირებულია მთავარ სექტორებზე და განსაზღვრავს მოქმედების ოთხ მთავარ სფეროს, რომელიც ვრცელდება ყველაზე:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება COVID-19-ის საპასუხოდ გატარებულ ზომებში, მიზნობრივ ღონისძიებებთან ერთად
- ინფორმაციაზე, დაწესებულებებზე, სერვისებსა და პროგრამებზე წვდომის უზრუნველყოფა COVID-19-ზე რეაგირებისა და აღდგენის პროცესში
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა და მათთან კონსულტაციების წარმართვა, COVID-19-ზე რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელების ყველა ეტაპზე
- ანგარიშვალდებულების მექანიზმების შექმნა COVID-19-ის საპასუხო ზომებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გასათვალისწინებლად.

ევროპის საბჭო

გევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა გაავრცელა **განცხადება** ხანგრძლივი დაყოვნების სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში COVID-19 პანდემიით გამოწვეული შედეგების შედეგად მიღებული გაკვეთილების შესახებ. განცხადება ყურადღებას ამახვილებს იმ შემთხვევების ეფექტიანი გამოძიების მნიშვნელობაზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა ხანგრძლივი დაყოვნების სამზრუნველო დაწესებულებებში და რომელთაც შედეგად მოჰყვა ბენეფიციარების სიკვდილი. კომისარმა შეზღუდული შესაძლებლობის და ხანდაზმულ პირთა სათანადო მოვლის მნიშვნელობაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მრავალ წევრ ქვეყანაში ხანგრძლივი დაყოვნების დაწესებულებების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხოლოდ საკვებით უზრუნველსაყოფად გამოყენება, სათანადო ზრუნვის შეუთავაზებლად, ადამიანის უფლების და საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი დარღვევაა, როგორც ეს მითითებულია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში.

> *„მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე კრიზისი უპრეცედენტოა, სახელმწიფოთა საპასუხო ზომები უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების პატივისცემას“.*
>
> **დუნია მიატოვიჩი**
> *ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი*

ადამიანის უფლებათა კომისარმა ასევე გააკეთა **განცხადება** იმის შესახებ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ უნდა დარჩნენ COVID-19-ის პანდემიის საპასუხო ღონისძიებების მიღმა. კომისარი მიუთითებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული რისკების შემცირების მნიშვნელობაზე, კერძოდ, აუცილებელი მხარდამჭერი სერვისების შეფერხებაზე და სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა ამ რისკების აღმოსაფხვრელად, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ საგანგებო ზომები, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა დასაქმების პროცედურების შემსუბუქება, აუცილებელი სერვისების პრიორიტეტიზაცია; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფინანსური უზრუნველყოფა არსებული მდგომარეობით გამოწვეული დამატებითი ხარჯების ანაზღაურების მიზნით; და შშმ პირთა მხარდამჭერი პირების, მათ შორის, არაფორმალური მხარდამჭერების, ჩართვა პერსონალური დამცავი საშუალებებით მომარაგებისა და ტრენინგების საგანგებო პირობებში დაგეგმვის პროცესში.

ევროპის კავშირი

ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო აგროვებს და აანალიზებს შესაბამის მონაცემებსა და ინფორმაციას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ COVID-19-ის საპასუხოდ გატარებული ზომების ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე გავლენის შესახებ და აქვეყნებს საინფორმაციო ბიულეტენებსა და კვლევებს სხვადასხვა ქვეყანაში ამ გავლენების შესახებ. ბიულეტენებში მითითებულია, რომ გამოწვევების წინაშე დგანან სამზრუნველო დაწესებულებებში მცხოვრები პირები. შემზღუდავი ზომების დაწესება და ინსტიტუციებში ვიზიტების აკრძალვა მეტად მნიშვნელოვანია სიცოცხლის უფლების დასაცავად და ინფექციის რისკის შესამცირებლად. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ თვითიზოლაციისა და ფიზიკური დისტანცირების ზომების მნიშვნელობაზე ხანდაზმული ასაკის ადამიანებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინსტიტუციებში და მათ გარეთ, COVID-19-ის მიმართ მოსახლეობის ამ კატეგორიის განსაკუთრებული დაუცველობის გათვალისწინებით. გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩაურთველობა ანტიკრიზისულ ღონისძიებებში. ბიულეტენებში საუბარია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელოვან როლზე, მაგალითად, როგორიც არის შშმ პირთა უფლებების ევროპული ფორუმი.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი (ENNHRI)

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი, პანდემიის პირობებში, აქტიურად თანამშრომლობდა თავის წევრებთან. ქსელმა გამოაქვეყნა **განცხადება,** რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე ვროპაში Covid-19-ის საპასუხო ზომების გატარების პროცესში. კერძოდ, განცხადებაში ჩამოთვლილია 9 პრინციპი, რომელსაც სახელმწიფოები უნდა იცავდნენ პანდემიასთან ბრძოლის დროს. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპულმა ქსელმა ასევე გამოაქვეყნა **განცხადება** ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვის მნიშვნელობის შესახებ Covid-19-ის საპასუხო ზომების გატარებისას, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული რესურსი, რათა რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტიანად უზრუნველყონ ეკონომიკური და სოციალური უფლებებით სარგებლობა. განცხადებაში მითითებულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რამდენიმე საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპულმა ქსელმა თავის ვებგვერდზე შექმნა სპეციალური **გვერდი,** რომელიც ასახავს პანდემიის საპასუხოდ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საქმიანობას.

თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელი (Equinet)

თანასწორობის ორგანოების ევროპულმა ქსელმა საკუთარ ვებგვერდზე შექმნა სპეციალური განყოფილება COVID-19-ის შესახებ, რომელიც მოიცავს **მონაცემთა ბაზას** საჩივრებისა და თანასწორობის ეროვნული ორგანოების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. ასევე **„თანასწორობის ბლოგის“** განყოფილებაში გამოაქვეყნებულია ბლოგები თანასწორობის და დისკრიმინაციის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. შშმ პირთა უფლებების ევროპის ფორუმმა გამოაქყვეყნა ბლოგი თემაზე: **„ინსტიტუციებში გამოკეტილი და სახელმწიფოსგან დავიწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“.** ივნისის ბოლოს, თანასწორობის ორგანოების ევროპულმა ქსელმა გამოაქვეყნა **„რეკომენდაციასამართლიანიდათანასწორი ევროპისთვის: ჩვენი საზოგადოებების აღდგენა COVID-19-ის შემდეგ“,** რომელიც უნდა გამოიყენებოდეს როგორც კანონსა და საერთო ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული მინიმალური სტანდარტი პანდემიის შემდეგ გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

მოწოდება რეგისტრაციისთვის!

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისევროპულქსელთანერთად,გამართავსვებინარსთემაზე:„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგი COVID-19 პანდემიის პიროებებში“. ვებინარში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთს გაუზიარებენ მოსაზრებებს პანდემიის პერიოდში შშმ პირთა დაწესებულებებსა და განთავსების ადგილებში ჩატარებული მონიტორინგის ვიზიტების ხასიათისა და მეთოდოლოგიის შესახებ. გარდა ამისა, მოწვეული მომხსენებლები ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციასა და საუკეთესო პრაქტიკებს მონიტორებისა და ბენეფიციარების ვირუსისაგან დასაცავად მიმართულ უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით. ვებინარი გაიმართება 23 სექტემბერს, ცენტრალური ევროპის დროით 14:00 საათზე. ღონისძიებისათვის რეგისტრაცია შეგიძლიათ 16 სექტემბრამდე **ბმულის** საშუალებით.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის შშმ პირთა უფლებების სამუშაო ჯგუფის წევრთა სიახლეები, რომლებიც არ უკავშირდება COVID-19-ს

ბულგარეთი: ბულგარეთის რესპუბლიკის ომბუდსმენმა, ბულგარეთის პარლამენტს, საბჭოს თავმჯდომარის რანგში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის საბჭოს პირველი წლიური ანგარიში წარუდგინა. მონიტორინგის საბჭო არის ახალი ქსელი, რომელიც ბულგარეთში, 2019 წელს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მიზნით შეიქმნა.

კვიპროსი: ადამიანის უფლებათა ადმინისტრირებისა და დაცვის კომისრის ოფისმა 2020 წლის პირველ ნახევარში გამოაქვეყნა არაერთი ანგარიში, მათ შორის, ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემზე დაფუძნებული საცხოვრისის, ათალასას ფსიქიატრიული საავადმყოფოს მონიტორინგისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების სასწავლო საჭიროებების შეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.

საქართველო: სახალხო დამცველის აპარატმა გამოაქვეყნა 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიცავს ცალკე თავს შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. გამოქვეყნდა სპეციალური ანგარიში ფსიქიატრიულ და სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. სახალხო დამცველი ჩართული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის პროექტში ცვლილებების შეტანის პროცესში და საქართველოს პარლამენტს წარუდგინა წინადადება შესაბამისი რეკომენდაციებით.

ირლანდია: ირლანდიის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის კომისიამ 2020 წლის ივლისში წლიური ანგარიში გამოაქვეყნა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანია სახელწოდებით, „ყველა ადამიანი, ყველა თანასწორი“, Purpose Awards 2020-ის მიერ (რომელიც მოიცავს ევროპას, შუა აღმოსავლეთს და აფრიკას) შეირჩა კატეგორიაში - „საჯარო სექტორი - თანასწორობისა და ჩართულობის საუკეთესო კამპანია“.

საერთაშორისო და ევროპული სიახლეები, რომლებიც არ უკავშირდება COVID-19-ს

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ 43-ე სესიაზე მიიღო **რეზოლუცია ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების შესახებ,** რომელშიც სახელმწიფოებს მოუწოდებს, გადადგან აქტიური ნაბიჯები ადამიანის უფლებების სრულად ინტეგრირებისთვის ფსიქიკურ ჯანდაცვასა და საზოგადოებრივ მომსახურებებში, ხელი შეუწყონ ფსიქიკური ჯანმრთელობის პარადიგმის შეცვლას, მათ შორის, კლინიკური პრაქტიკის, პოლიტიკის, კვლევის, სამედიცინო განათლებისა და ინვესტიციების მიმართულებით. რეზოლუცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, მხარი დაუჭირონ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების და ფსიქოსოციალური საჭირეობის მქონე პირების გაძლიერებას, იმისათვის, რათა ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია და მოითხოვონ საკუთარი უფლებების რეალიზება, და ხელი შეუწყონ მათ სრულ მონაწილეობას იმ პოლიტიკის, გეგმების, კანონებისა და მომსახურებების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც მიზნად ისახავს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისა და ფსიქოსოციალური საჭირეობის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 44-ე სესიაზე, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით თანამარი სარგებლობის ხელმისაწვდომობის საკითხში სპეციალურმა მომხსენებელმა წარმოადგინა მოხსენება თემაზე: **„ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები: უფლებებზე დაფუძნებული გლობალური დღის წესრიგის შედგენა“,** სადაც განმარტებულია ის ელემენტები, რომლებიც საჭიროა უფლებებზე დაფუძნებული გლობალური დღის წესრიგის შესადგენად, ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობისათვის. სპეციალური მომხსენებელი მიესალმება იმ ფაქტის საერთაშორისოდ აღიარებას, რომ არ არსებობს ჯანმრთელობა ფსიქიკური ჯანმრთელობის გარეშე, ასევე, გლობალური ფსიქიკური ჯანმრთელობის ყველა ელემენტის განვითარებისკენ მიმართულ ინიციატივებს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, თუმცა ასევე ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად საიმედო ტენდენციებისა, ფსიქიატრიულ სისტემაში ადამიანის უფლებების დარღვევების აღმოფხვრის გლობალური მარცხი ჯერ კიდევ სახეზეა.

© Dina Oganova, Georgian Down Syndrome Association